| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი-ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893


კვირას, 25 აპრილს, გადმოსვენებულ იქმნება განჯიდგან ტფილისს ნეშტი პოეტის **თ. ნიკოლოოზ ბარათაშვილისა**. ეუწყებათ ეს ამბავი განსვენებულისა ნათესავთა და პატივისმცემელთ, რათა მობრძანდნენ ამ დღეს, დილის $9\frac{1}{2}$ საათზედ, რკინის გზის ვაკზალზედ, საიდგანაც ნეშტს წაასვენებენ დიდუბეს, ეკკლესიაში. მღვთის-მშობლის

**კნეინა ბარბარე ბარათაშვილის** სახლში გარდაიცვალა მისი დისწული **კნიაჟნა თინათინ მიხეილის ასული ამილახვარისა**. გამოსვენება მიცვალებულისა იქნება 23 აპრილს, პარასკევს, დილის 10 საათზე ნიკოლოოზის ქუჩიდგან, სახლი № 39, ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში, რაიცა ეუწყებათ ნათესავთა და ნაცნობთა.

## ივერიის რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც უნდა გამოგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოგზავნის დანარჩენს ფულს ნაწილ-ნაწილად მაინც, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.

გამგე კომიტეტი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის ამით აცხადებს, რომ წლიური კრება ამ საზოგადოების წევრთა დანიშნულია მდგომარე აპრილის 22-სათვის საღამოს შვიდს საათზედ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თეატრის შენობაში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი კითხვები:

ა) ანგარიში წარსულის წლისა.

ბ) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ წლისა.

გ) რა გამოარკვია გამგე კომიტეტმა მოწვეულ პირებთან საერთო მსჯელობის შემდეგ იმ საკითხის გამო, თუ რა სახით მოეწყოს მომავალში ტფილი ის სათავად-აზნაურო სკოლის საქმე.

დ) მოსაზრება გამგე კომიტეტისა იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვონ საკუთარი სადგომი სათავად-აზნაურო სასწავლებლისათვის.

(3—3)

### ძვირფასი შესაწირავი

მთელს საქართველოს შეტყობილი ექმნება უთუოდ, ეხლა რა დიდ ძალი მამული შესწირა თავადმა ზაქარია ერისთავმა თავის ქვეყნის განათლების საქმეს. ამის შემდეგ წადილი ჩვენის საზოგადოებისა, რომ სამეურნეო სკოლა დაარსებულიყო, ასრულდა.

რამდენს გაჭირვებულს ოჯახს მიეცემა საშუალება გამოზარდოს შვილი ქველ-მოქმედ თავადის მოწყალებით! რამდენს წარმატებას და სიკეთეს მოუტანს ქართველს ერს ეს მართლა და უხვი შესაწირავი.

ამიერიდგან თავად ზაქარია ერისთვის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება ჩვენის განათლების მოღვაწეთა რიცხვში. მან, ვგონებ, პირველმა გვაჩვენა თვალ-საჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა მოიხმარონ ღვთისაგან ბოძებული სიმდიდრე ქვეყნის მეგობართა და ერთგულთა შვილთა რა მშვენიერი და მადლის ზნეობით აღსავსე საქციელია!

გარდა ამისა, რომ ამ გვარი საჩუქარი სკოლისთვის ძვირფასი განძია, ჩვენ სხვა მხრივაც გვახარებს და გვანუგეშებს თავად ზაქარია ერისთვის შეწირულობა.

ყოველს ქვეყანაში, თითქმის კანონად არის შემოღებული, რომ შეძლებულმა კაცმა ქვეყანასაც არგოს რამე თავის სიმდიდრით. ზოგი გატაცებული ფილანთროპი მთელს თავის სიცოცხლეს იმას ანდომებს, რომ ქონება რამ შეიძინოს და, მიაღწევს რა სანატრელს, იმ წამსვე რომელსამე საქველ-მოქმედო საგანს სწირავს დიდის ჯაფითა და მწუხარებით მოპოებულს სიმდიდრეს. ასეა სხვაგან და ასეთი მაგალითები მოხდება ხოლმე კავკასიაში, მაგრამ არა ქართველთა შორის.

დღეს, როგორც სჩანს, ჩვენში დაბადებულა ის აზრი, რომ თითოეულს ნივთიერი მოვალეობაც რამ აწევს სამშობლოს წინაშე და რაც უფრო მაღლა სდგას კაცი მდგომარეობით, რაც მომეტებულად ღონიერი და შეძლებულია, მით უფრო მომეტებული მოეთხოვება!

თავადმა ერისთავმა ჩინებულად დაგვიმტკიცა, რომ იმას სწორედ ამ ნაირად ესმის თავისი მოვალეობა ერის წინაშე.

სიუხვე, უანგარობა და გულჩვილობა ქართველს კაცს ღმერთმა მცირედ არ მიჰმადლა. მაგრამ ამ ჩვენის ბუნების სასახელო თვისებას უფრო კერძო შემთხვევაში, კერძო დამოკიდებულებაში ვიჩენთ. საზოგადო საჭიროებისათვის-კი ქართველს ძალიან ეზარება ჯიბისკენ ხელის წაღება. ეხლა ამის მაგალითსაც ვხედავთ, რომ ერთი ჩვენი მამულის შვილი ასი ათას მანეთად ღირებულს მამულს უძღვნის თავის ქვეყანას!

იმედი ვიქონიოთ, რომ საზოგადოებაც დააფასებს თავადის ზაქარია ერისთვის ღვაწლს და შესაფერს მადლობას გადაუხდის.

მეველე

# ახალი ამბავი

*** კანდიდატებად ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობის წევრისა, რომელიც ამ დღეებში უნდა აირჩიონ, ასახელებენ: თ. გ. ი. თარხან-მოურავს, რომელსაც წელსვადა უთავდება, თ. ნ. ვ. ორბელიანს, ზედამხედველ კომიტეტის წევრს, და იმავე ბანკის წევრად ნამყოფს, თ. ი. გ. მაჩაბელს.

*** გუშინ, დილის 11 საათზედ, რკინის გზის ტფილისის სადგურში მოვიდა დეპეშა, რომ ბათუმიდგან მატარებლის გამოსვლის დროს ერთმა ქალმა იქაურ სადგურის სასტუმროში მოიპარა 15 სალფეტკი, 3 სუფრა დ 5 პირსახოცი დეპეშით სთხოვდნენ აქაურ სადგურის უფროსს, მატარებელი რო ჩამოვიდეს ტფილისში, ამ ქალს ადევნეთ თვალ-ყურიო. ჟანდარმებმა ეჭვი მიიტანეს რამდენსამე ქალზე და ბარგი გაუჩხრიკეს, მაგრამ დაკარგული ნივთები ვერავის ვერ უპოვნეს.

*** გუშინ, 21 აპრილს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ნაფიც ვექილის ისაკ სტეფანეს ძის ტერ-სტეფანოვისა. ტერ-სტეფანოვს ბრალდებოდა, რომ 1892 წელს, 8 მაისს, სიტყვით შეურაცხჰყო ოლქის სასამართლოს დივნის თანაშემწე ნ. ტერ-აბრამოვი მხოლოდ იმისთვის, რომ მან ტერ-სტეფანოვს ვერ მისცა გასასინჯად ერთი საქმე, რომელიც იმ ჟამად ოლქის სასამართლოს წევრსა ჰქონდა. სასამართლომ ტერ-სტეფანოვი დამნაშავედ სცნო და 10 მან. ჯარიმა მიუსაჯა.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ არსენ კალანდაძისაგან 6 მან. და 45 კაპ. ქ. გორში მოსწავლეთა შორის შეგროვილი პოეტის ნიკოლოოზ ბარათაშვილი ნეშტის ტფილისში გადმოსასვენებლად. ეს ფული გადაეცა „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“.

*** სოფ. მეტეხი (გორის მაზრა): აქ სამწუხარო ამბები მოხდა: 31 მარტს ფრიდონ გუგულაშვილის მეუღლე ჩასწოდებია თონეში პურის ამოსაღებად, დასცდენია მეორე ხელი და თავდაყირა ჩავარდნილა თონეში. ქალები მიშველებიან, მაგრამ ვერ ამოუყვანიათ. შეუტყობინებიათ მამაკაცებისათვის, რომლებსაც ამოუყვანიათ, მაგრამ პირისახე და მკლავები ისე დასწვოდა საბრალო ქალს, რომ სანახავად შესაზარი იყო. საბრალომ მხოლოდ სამი დღე იცოცხლა.

3 აპრილს კიდევ სოლომონ ქოსაშვილის ქალს, ოთხის წლისას, მოჰკიდებოდა ცეცხლი იმ დროს, როცა სახლში არავინ ყოფილიყო. ბევრს ეცადა თურმე საბრალო ცეცხლის გაქრობას, მაგრამ ვერას გახდა. ყვირილზე მეზობლის ბიჭები მიეშველნენ, ტანისამოსი სულ შემოაგლიჯეს, მაგრამ გვიან-ღა იყო: საბრალო ქალმა იმავე წამს სული განუტევა.

*** ქვემო-ქიზიყი: 2 აპრილს, შუაღამისას, ხირსის წმ. სტეფანის მონასტრის მღვდელ-მონაზონს მ. ალ-ეს შეუცვივდნენ სენაკში ბოროტ-გამზრახველნი და დასდგომოდნენ, ფული სადა გაქვს, ჩქარა გვითხარიო.—ბერს ეთქვა: ფული არა მაქვს, ნუ მომკლავთ და აი, ამ ყუთში ვერცხლეულია და წაიღეთო. ამ დროს

## ფელეტონი

### სატრფიალო

I

ან ოცნება ხარ, მოკვდავად
არა ხარ დაბადებული,
ან ხორც შესხმული ცდუნება,
ცით ქვეყნად გადმოგდებული,
გულის სიმშვიდის წარმტაცად,
ტურფა და განაზებული.
ანა ხარ ბედნიერება,
ნანატრი წმინდა გულითა,
კაცის სიცოცხლის აღმვსები
ნეტარებითა სრულითა.
შემიპყარ სიყვარულითა,
როგორც თვალები რულითა.
მხოლოდ შენ, მხოლოდ, სევდისთვის
ღმერთს უპოვნიხარ წამლადა.
ამ ქვეყანაზედ იმიტომ
დაუბადნიხარ ქალადა,
თორემ უკვდავნი ფრთიანნი
მოგიტაცებდენ ძალადა.
მაშინ ხომ სიყვარულიცა,
ვფიცავ ცას, დაობლდებოდა,
მადლ მოკლებული ქვეყანა
ერთს წამში აოხრდებოდა,
და ტკბილ სიცოცხლეც ცოცხალთა
უმისოდ მოჰბეზრდებოდა.

II

უსიყვარულოდ სიცოცხლე
მეც სხვებთან უარ მიყვია,
თუ სიყვარული არ მახლავს,
ფეხი აქ რაღად მიდგია,
ბუნება რაღას ვიოცო,
მისი წესი და რიგია!
მეც შენ გიმღერ და შეგამკობ
და შენით ავფრთოვანდები,
მეც წილი მედოს შენშია,
შენი მეცა ვსთქვა ამბები,
შენს ღრმა, უძირო ზღვაშია
ჩავარჩო გულის დარდები.
ჩემს გულში სვეტი ჩადგება,
ციური შარავანდები,
როცა თვალს შენი ესახვის
ჰაეროვანი ლანდები,
მაშინ მეცა ვმღერ ტკბილადა,
იცვლება ჰანგზე ჰანგები!

თ. რაზიკაშვილი.

1893 წ.

### განათლებული ქართველი ქალი

(ვუძღვნი ჩვენს თავად-აზნაურობას)

ჩემო საყვარელო მკითხველო, იცნობ ამ კოპწია, უკანასკნელ პარიჟულ მოდაზედ გამოკანკლულ, ნაზს, სისხლ-ნაკლებ, ძარღვებ მოშლილ, თითქოს ანგელოზის სიმშვიდით შეიარაღებულ ქალს?—არა?—როგორ დავიჯერო! დააკვირდი, თვალი ადევნე, ყური დაუგდე იმის ენას, იმის მიმართულებას, იმის სურვილს?

— კარგა ხანია, ბატონო, ვუყურებ, ყურს ვუგდებ, ვაკვირდები, მიპასუხებს მკითხველი, მაგრამ-კი ვერ მიცვნიაო.

ვერ მიცვნიაო! მჯერა, მჯერა, რომ ვერ გიცვნია. ან როგორ იცნობ, ეგ ხომ სხვა ქვეყნიდგან მოტანილი ხის შტოა და მხოლოდ ჩვენს ფესვზე, ჩვენს ნიადაგზეა ნამყნობი და ნაშენები. გასინჯე: აი ქართული წერწეტი ტანი, ისარივით გადახრილი ხშირი წარბები, ზღვასავით მღელვარე შავი თვალები, სურათი ცხვირი, ნაზი მიხვრა-მოხვრა, ბუნებრივი სიკეკლუცე... მაგრამ ამაზე შორს-კი აღარ მიდის მგზავსება. ფოთოლი და ნაყოფი, როგორც ნამყენს შეეფერება, სულ გადასხვაფერებულია: აპრუწულ-დაპრუწნული ფურფურებიანი კაბა, ძალზედ წაჭერილი კორსეტი, თავზედ ხელის ოდენა „შლიაპა“, ხელზედ აღლ-ნახევარი ყვითელი ხელთათმანები, რასაკვირველია, არ გეცნობება ყურთმაჯ-გადაშლილ, სარტყელ-გაფრიალებულ და ლეჩაქ-გადაგდებულ ქართველ მანდილოსანთან.

არ გეცნობება და ვერც იმას გაიგებ, ვერც იმის სიტყვა-პასუხს, აზრს, მისწრაფებას, იმიტომ რომ ნამყნევი შტო სულ სხვა ჯიშისაა და სხვა ენაზედ ლაპარაკობს, სხვა აზრებს მისდევს და შენთან, ქართველთან, არა ვითარი კავშირი (გარდა ფესვებისა) აღარა აქვს-რა. აბა მიდი, დაელაპარაკე, შენის გულის პასუხი უთხარ, აზრი განუზიარე; ის თვალებს მოპრუწავს, გაკვირვებით შემოგხედავს, სახეზედ ზიზღს გამოიხატავს და ამ სიტყვებს მოგახლის უეცრად; „მე ბედნიერება არა მაქვს თქვენის ცნობისაო!“

პატარა ბიჭი, ბერის მოსამსახურე, გასულიყო გარედ და მეორე ბერისთვის შეეტყობინებინა ეს ამბავი. უკანასკნელიც მოჰყვა ყვირილს: „გვიშველეთ, ავაზაკები დაგვეცნენ და გვხოცავენო.“ ამ ხმაზედ ხალხი მოეშველა და ბოროტ-მოქმედნიც აივნიდგან გადაცვივდნენ. ბერი მ. ალ-ე მსუბუქად დაჭრილია. ჯერ-ჯერობით ეჭვი ორ კაცზედ არის მიტანილი.

*** დ. ოჩამჩირე: ექვს აპრილს, შუაღამის 3 საათზე, ოჩამჩირეს მახლობლად დაიღუპა ორთქლ-მავალი (გემი) ნორვეგიისა „ცერესი“. ხსენებული გემი მოვიდა სტამბოლიდან ოც-დაერთს მარტს ტვირთის წასაღებად. გემი იტვირთებოდა შპალებით, რომელნიც უნდა გაეტანათ ბელგიის ქალაქ გენტში. გემი იდგა ოთხ ვერსის მოშორებით დაბა ოჩამჩირედან, სოფელ ცორიკის პირდაპირ, სადაც ტვირთს უდებდნენ. დადებული ჰქონდა 15000 შპალი. უცებ საშინელმა ქარმა მოგლიჯა ხომალდის ანკრები და გემი ზღვაში გაიტაცა. ქარი თანდათან ძლიერდებოდა და მიაცურებდა გემს ნაპირისკენ და გემი მალე ჩაეფლო ქვიშაში. კაპიტანმა, ნორვეგის ქვეშევრდომმა პიტრ ხრისტიანსმა მოაბა შუშხუნას ბაწარი და ისროლა ნაპირისკენ. მუშებმა დაიჭირეს ბაწარი, გაამაგრეს და ისე გამოიყვანეს გემიდან ხალხი. გემზე კაპიტნის კაიუტა და სამი ნავი ნაფოტებად აქცია ზღვის ღელვამ. თუ ზღვა არ დაწყნარდა, უეჭველია მთელი გემი ერთიანად დაიღუპება.

*** ბორჯომი: ექვს აპრილს, დილას იპოვეს მდ. ბორჯომელაში გვამი ს. ბესტავაშვილისა. საბრალო ბესტავაშვილი, საღამოს რვა საათზე წასულიყო ბატანოში სანოვაგეს სასყიდლად და სახლში რომ დაბრუნდა, წყალში ჩავარდნილა.

იმავე ღამეს დაიხრჩო მტკვარში ერთი ყაზანელი თათარი.

ბორჯომში ხორაგეულობა ძლიერ ძვირი იყო; ეხლაც ძვირია. ხორცი ისყიდება გირვანქა 10 კაპ.

*** ხუმლაგა (კავკავის მაზრა): ათს ამ თთვეს აქ ძლიერ ქვენა ქარი ჰქროდა; პატარა ბავშვებს წყლის რუში წვრილი თევზები დაეჭირათ. კალოების პირზედ, ჩალით ცეცხლი დაენთოთ და წვრილს თევზს თურმე სწვავდნენ. უცბად ცეცხლი მოიტაცა ქარმა და მოსდო ჩალით შემოღობილ კალოებს და ბავშვებს. ქარმა ცეცხლი უფრო გააძლიერა; ზარების ერთბაშად წკარა-წკურმა მთელი სოფელი ფეხზედ დააყენა, მაგრამ ცეცხლი ვერა გზით ვერ გაანელეს. ათამდე კალოები გადიბუგა. კალოებში პურის და ფეტვის ძნებიც დაიწვა; დაიწვა აგრეთვე ერთის მოსახლის, ბეღლევის, ორი ცხენი და ერთი ხარი.

*** 18 აპრილს შეიპყრეს პოლიციის პირველს ნაწილში დუშეთის მაზრის სოფ. დაბალნეტის მცხოვრები, მზარეული დავით ხინჩეგაშვილი, რომელსაც უპოვნეს რკინის გზის ბუღალტერის იაკობ კლოსპისაგან მოპარული 200 მ. ღირებული საათი. საათი პატრონს გადასცეს.

*** 19 აპრილს გორში მცხოვრებმა ტატიანა ალექსანდრეს ასულმა ჩერნიშევისამ პოლიციაში გამოაცხადა, აკჭალის ქუჩაზე სახლი გამიტეხეს, მომპარეს: ოქროს საათი ოქროსავე მეწკვით, ორი ბეჭედი და ვერცხლის სამაჯური, სულ 45 მან. ღირებულიო. პოლიციელმა ოსიფოვმა იპოვნა დამნაშავენი. დამნაშავენი აღმოჩნდნენ: კოლეჟსკი ასესორის შვილი დიმიტრი მიხაილოვი და კოლეჟსკის სეკრეტრის შვილი ალექსანდრე კაუფმანი. მოპარული ნივთეული მიხაილოვს უპოვნეს ბოჭკას ქვეშ შენახული და პატრონს გადასცეს. დამნაშავეთ ოქმი შეუდგინეს და გამომძიებელს გადასცეს.

*** 20 აპრილს ტფილისის სამპატიმროს უფროსმა პოლიციაში გამოაცხადა, დარაჯი პეტრე ჩუმაშკა საყარაულოდგან გაიქცა და თან წაიღო თოფი, რამდენიმე თოფის გული და შინელიო.

*** 20 აპრილს, საღამოს ექვს საათზე ეგზარხოსის მოედანზე მღვდლის ქვრივს ბენკლიანცს ღია ფანჯრიდგან მოჰპარეს ქალის წამოსასხამი, ქალისავე ხავერდის პალტო, ერთი დრაპის პალტო და სალოპი, სულ 40 მან. ღირებული.

*** ამავე დღეს ებრაელთა სამლოცველოს კარები გასტეხა და გაქურდვა მოიწადინა ნახიჩევნის მცხოვრებმა ავეტიქ ნაზაროვმა, მაგრამ მალე მიუსწრო სამლოცველოს მცველმა და ქურდი შეიპყრო.

## წლიური კრება ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა

21 აპრილს

კრება დაიწყო $11^1/_2$ საათზე თ. დ. ა. სუმბათაშვილისავე თავმჯდომარეობით. წინა კრების ოქმის წაკითხვამდე გაიმართა ლაპარაკი იმის თაობაზედ, რომ ზედამხედველმა კომიტეტმა განიხილოს თხოვნა იმ თავად-აზნაურთა, რომელნიც წევრნი-დამფუძნებელნი არ არიან და დღეს სურვილი აქვთ, თანხმად წესდებისა, შემოიტანონ ფული და ჩაეწერნენ წევრად. წესდების ძალით, ყოველს თავად-აზნაურს, რომელსაც-კი მამული აქვს და იმ მამულის წლიური შემოსავალი 30 მან. ნაკლები არ არის, შეუძლიან შეიტანოს ბანკში ერთხანად 5% ამ შემოსავლისა და წევრად იქმნას მიღებული. ამისთანა თხოვნა ყოველ წლივ რამდენიმე ათი და ოცი მისდის ყოველ საზოგადო კრების წინად ზედამხედველს კომიტეტს, რომელიც სჩხრეკს ამ თხოვნებს, იკვლევს და ძიობს, რამდენად მართალია, რომ მთხოვნელი მართლა ან თავადია, ან აზნაური, სწორედ იმდენი მამული აქვს, თუ მეტი, რომ მისი 5% გადაახდევინოს, და მერე ისე სწყვეტს საქმეს. წელს ამისთანა თხოვნა საკმაოდ ბლომად მისვლია კომიტეტს; ბევრი მათგანი განუხილავს და, დანარჩენთ განხილვა რაკი ველარ მოუსწრია (400-მდე ყოფილა თხოვნა და მათ შორის მარტო გორის მაზრიდამ თ. პ. გრუზინსკის თქმით, 150—170-მდეო), გადუწყვეტია, დანარჩენს ნულარ გავარჩევთ და მერმისისათვის გადავდოთო.

კრების ზოგიერთნი წევრნი თხოულობდნენ, რომ უთუოდ განიხილეთ ეგ თხოვნები. მაგათი განხილვა დიდი საქმე არ არისო, მოვალეა კომიტეტი მაგ საქმეს გაუძლვესო. ვისაც ნება აქვს ფული შემოიტანოს და შემოაქვს კიდეც ფული, იმას უარს ვერ ეტყვის კომიტეტი, შენს თხოვნას ეხლავე ვერ გავარჩევ, დრო არა მაქვსო. აქ დროს უქონლობაზე ლაპარაკი შეუძლებელია და დარღვევაა წევრად ჩაწერის მსურველის უფლებისაო. კომიტეტისა და ზოგიერთ ორატორების პასუხიდამ გამოირკვა, რომ კომიტეტს კრების წინად სხვა ბევრი საქმეცა აქვს, რომ ყოველ დღე ასის რწმუნების ქაღალდის განხილვაა საჭირო, რომ მორიგ საქმეს უნდება კომიტეტი და ყოვლად შეუძლებელია მოუხერხებელი, ეგ თხოვნებიც განიხილოსო, მითი უმეტეს, რომ მათ განხილვა ფრიად რთული საქმეა, ხშირად დიდს იურიდიულს განსჯას მოითხოვს და ზოგჯერ ერთს თხოვნას მთელი საღამო უნდება ხოლმე კომიტეტსო.

ტყუილად ჰგონიათ, რომ ეს საქმე ადვილი იყოსო. აჩქარებით მაგისთანა თხოვნების განხილვა ბევრს შეცდომასა და უსამართლობას დაჰბადავსო. ერთმა თხოვნა შემოიტანა, მაგალითად, წევრად მიმიღეთო, ამდენი მამული მაქვსო და წარმოადგინა $2^1/_2$ მანათი. მერე-კი აღმოჩნდა, რომ იმას 40,000 მანათიანი მამული ჰქონდა დაგირავებული ჩვენს ბანკშივე და 5% ამისი უნდა შემოეტანაო. მაშინ-კი უკან წაიღო თავისი თხოვნა და აღარ ჩაეწერა ბანკის წევრადაო. კანონიერ თხოვნას კანონიერი გზაც უნდა მიეცეს და კანონიერად უნდა იქმნას განხილულიო. საქმე გართულდა მით, რომ 20 წელიწადი გავიდა აგერ ბანკის დაარსებიდამ და ამის გამო მემკვიდრეობისა და საკუთრებაში მონაწილეობის უფლება ძნელი გასარჩევი შეიქმნა. ამას გარდა, ვერავითარი კანონი ვერ შეაძლებინებს ადამიანს გააკეთებინოს ის, რაც მის ღონეს აღემატება; ან რა საჩქაროა, გადიდოს შემდეგ წლისათვის ეგ საქმე. სასურველია, მოგვემატონ წევრნი, მაგრამ უფრო სასურველია, რომ გულ-დასმით და აუჩქარებლად მოხდეს ეს მომატება, ვისისამე უფლების დაურღვევლად. თუ-კი ჩვენ 40 წელიწადი ვუცდით აგერ იმათ, რომელთაც პირველში არ მოინდომეს ჩვენთან ერთობა და ძმობა ბანკის საქმეში, ნუ თუ იმათ, ვისაც დღეს სურვილი აქვს შემოგვიერთდეს, არ შეუძლიანთ ერთი წელიწადი მოითმინონ. ასე ყელზე დანის დაჭერა არ გაგონილაო. ერთს წელიწადში კომიტეტი მოჰყვება და გულ-დასმით, სიფრთხილით განარკვევს მათ თხოვნებს და მერმისის კრებისათვის მაინც შეიძლება მიიღოს, ვინც მისაღებია, ვინც არა—უარს ეტყვისო.

აი ამ საგნის დაწვრილებულს განხილვას მოუნდა კრება. ბევრნი ამბობდნენ, კენჭი ვუყაროთ და ისე გადავსწყვიტოთო. ზოგთა სთქვეს, საქმეს შევუდგეთ, მორიგი საქმეები გვრჩება განუხილველიო და, მაგ საგანს რომ კენჭი ვუყაროთ, როდის როდის გავათავებთო.

თავსმჯდომარეს თხოვნით წაკითხულ იქმნა წინა-კრების ოქმი და დამტკიცებულ კრების მიერ.

გაიმართა კვლავ ლაპარაკი თხოვნების შესახებ. თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ყუთებს დავდგამ და კენჭით გადასწყვიტეთ საკამათო საგანიო, ხოლო მანამდე, მცირეს ხნით, კრება შემიწყვეტიაო. კრება შესწყდა ნაშუადღევის 2 საათზე და დაიწყო კვლავ თითქმის 3 საათზედ.

როცა კრება ხელ-მეორედ დაიწყო, კვლავ გაიმართა კამათობა თხოვნების განხილვის შესახებ. სთქვეს, სულ 11 კონვერტია და 20 თხოვნა და რა გახდა, რომ მაგათი განხილვა ასე გასჭირდაო. რაც სხვა თხოვნებია, ან უკან წაღებული, ან ისეთები, რომელიც დღეის შემდეგ მოგივათ, იმათ ნუ განიხილავთო. ამის პასუხად ითქვა, რომ უსამართლობა იქნება განიხილოს კომიტეტმა მხოლოდ ის თხოვნები, რომელიც დღეს ხელში აქვს და უყურადღებოდ დასტოვოს ის თხოვნები, რომელიც უფრო ადრე მიიღო და რომელიც პატრონებმა მხოლოდ იმიტომ წაიღეს უკან, რომ კომიტეტმა გადასწყვიტა, თავისუფალ დროების უქონლობის გამო გადავდოთ დანარჩენ თხოვნათაო განხილვა.

აქ ჩამოვარდა ცხარე ბაასი იმის შესახებ, რომ ვითომ ერთთა აზრით, კომიტეტს არ უნდა პატივი სცეს კრების სურვილს ხოლო მეორეთა აზრით პირ-იქით, კრებას არ უნდა პატივის ცემით მოეკიდოს კომიტეტს, რომელსაც უთუოდ შესაწყნარებელი საბუთები ჰქონდ, როცა ზემოხსენებული გადაწყვეტილება დაადგინაო.

ამას მოჰყვა ბევრი სხვა ლაპარაკი, ზოგი იმის შესახებ, რომ უმართებულო და საწყენი სიტყვები ითქვა კრებაზე, ზოგი იმის შესახებ, რომ თითო-ოროლისა და ათიოდეს ყვირილით კრების აზრს ვერ შევიტყობთ და ვერა გადაწყდებარაო. კრებას უნდა პატივის-ცემით მოვეკიდოთ და ჩვენის ყვირილით არ ვსცდილობდეთ იმის მაგიერ ჩვენის საკუთარის სურვილის გამოცხადებასაო. კრებამ უნდა მისცეს დარიგება თავის არჩეულ კაცთა და არა—არჩეულმა კაცებმა კრებასა, და სხვ.

ბოლოს კენჭის უყრელად ასე გადასწყდა საქმე; კრება განაგრძოთ თავის რიგით ხოლო, ზედამხედველ კომიტეტი შეუდგეს თხოვნების განხილვას და, რაც მოასწროს, ის განიხილოს, ვიდრე კრება გათავდებოდესო.

---

შენი წარსული და მომავალი, შენი ოჯახი, შენი ბინა, შენი ლუკმის მჭმეველი სოფელია და ეს კოპწია-კი მთელის თავის არსებით ქალაქს ეკუთვნის; უქალაქოდ მისი ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია; იმისი ნაზი ფოთლები და გადაგვარებული ნაყოფი სოფლის სალს, „ცივილიზაციის“-ს მოკლებულ ჰაერს ვერ გაუძლებს, დაჭკნება. ეს, დაბადებით სოფლის შვილი და აღზრდით ქალაქისთვის გაწრთვნილი და გაწაფული, ქალაქს მიჰკედლებია, ქალაქს გახდომია ბარგად და ყოველ ღონი ძიებასა ჰხმარობს, რომ სამუდამო ბინა ქალაქში მოიპოვოს.

ამისათვის დაძრწის იგი დიდ-კაცობაში, სტეპნის ბულვარს, დიდის თეატრში, ბალებში, მეჯლიშებში, ირთვება ყოვლის ძალითა და ღონით, სოფლის მამულიდგან გამონაწურის შემწეობით, აპლატუნებს თვალებს, რომ იმისთანაზედ შეაჩეროს, რომელიც ყოველ ზემო-ხსენებულ სანავარდოებს არ დაულევს. თვალს შეაჩერებს, გულს გადუშლის და თავის ნაზს, კეკლუც ბუნებას მონად გაუხდის დაჩანდრაკებულს, წელში მოხრილს, ზნე-დამხობილს, ოღონდ-კი ჰქონდეს ჯიბეში ქისა და უნარი ფულის მოგებისა. ფული ხომ ერთადერთი საშუალებაა ამ ზიზილ-პიპილების შესაძენად, ამ შეუწყვეტელის ნავარდობისათვის. ფულის სიუხვითა ჰზომავს ეს კოპწია ტიკინი კაცის ბედნიერების სიღრმე-სიგანეს.

რასაკვირველია, ამისთანა ადამიანს ვერ იცნობ, გზას აუქცევ, განზედ გაუდგები, როგორც გამოუსადეგარს და ფშუტა-ყვავილს; განზე გაუდგები და ეძებ იმ წყნარს, სალს, სადას, ღმობიერს, ოჯახის ბურჯს, ზნეობის ლამპარს შენის კერისას; იმ ლამპარს ადამინის სახით, რომელიც ყოველის მამა კაცის გულში იდეალად არის გამოხატული და რომელიც მრავლად ჰყოლია ჩვენს ერს წარსულში და ეხლა, სამწუხაროდ, ათასში ერთი-ღა შეგვრჩენია.

მაგრამ სად იპოვნი ამ გვარ მარგალიტს, როდესაც ის ბაღები, სადაც ზემოხსენებულისთანა მცენარეს ამყნობენ, მხოლოდ ამ გვარ კოპწიებით არის სავსე?..

ვიცი, ყურებს ჩაჰმოყრი, სასო-წარკვეთილებას მიეცემი, ბედს დასწყევლი, (ქართველის კაცის ყოველი უბედურება ხომ ვითომ ბედისაგან არის მიგდებული), მაგრამ გულს ნუ გაიტეხ, ნუ დაჰკარგავ! მოდი, ხელი მივცეთ ყველამ ერთმანეთს, მთელი ჩვენი ღონისძიება მოვახმაროთ და ვეცადნეთ, ისეთი ბაღი გავაშენოთ, ისეთი წალკოტი ავაგოთ, სადაც ჩვენ ფესვებზედ, ჩვენს ნიადაგზედ, ჩვენს საუკეთესო, რჩეულ ხეხილის შტოებს ვამყნობთ და ჩვენის ხელითვე ჩვენს მომავალს ბედს მოვიმზადებდეთ.

გარწმუნებ, ჩემო ძვირფასო, აქ შეუძლებელი არა არის-რა. საჭიროა მხოლოდ ნათლად წარმოიდგინო, რა იქნება ჩვენი მომავალი, თუ კიდევ დიდხანს გასტანს ზემოხსენებული მყნობა და გაშენება? ხოლო თუ ამას ნათლად წარმოიდგენ, რაც ძლიერ ადვილი და თვალსაჩინოა, განა კიდევ ვიყოყმანებთ, ყოველი ღონე იმ საქმეს მოვახმაროთ, რომ ქართველს დედაკაცს თავისი საკუთარი თვისება, თავისი ენა და თავის ზნეობის ძალა სამუდამოდ არ დაუკარგოთ? ნუ-კი გეგონებათ, რომ ამით ის მინდა ვსთქვა, ვითომ ქართველებს ვაჟები უკეთეს მდგომარეობაში გვყავს, უკეთეს გზაზე დაგვიყენებია; არა, მაგრამ, ჩემის აზრით, დედაკაცს ერის გამობრუნებაში უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს და ისევ სჯობს საქმე სათავიდგან დავიწყოთ. და დედაკაცი ხომ ოჯახის კეთილ-განწყობილების ნიადაგია და, მაშასადამე, მხოლოდ იგივე დედაკაცია მომავალის შთამომავლობის დამბადებელი, აღმზრდელი და სულის ჩამდგმელი.

ქალი გრძნობა-განმახვებული არსებაა. მალე შეიგნებს, რაშია იმისი დანიშნულება, იმისი მოწოდება და, თუ საერთო ღონით ეს მოვახერხეთ როგორმე, ჩვენს დაქცეულს ოჯახს, ჩვენს დარღვეულს ერთობას, ჩვენი ბუნებით ჩინებული და საჭირო სწავლით მომზადებული დედაკაცი ნამდვილ დედა-ბოძად შეედგმის და ჩაქრობილს კერას კვლავ აგვიბოლებს, აგვინთებს და, იქნება ღმერთმა ბრძანოს, ნათელი ჭეშმარიტიც მოეფინოს ჩვენს დღევანდელს გონებით ბნელს და გულით ცივს ოჯახს.

ეკ. გაბაშვილისა

დასასრულ, ზედამხედველ კომიტეტსა და ბანკის გამგეობას მიანდო კრებამ, დაუნიშნეთ სასყიდელი დაწვრილებით ანგარიშის შემდგენელთ და ჩვენ წარმოგვიდგინეთ დასამტკიცებლად, რასაც დაჰნიშნავთო.

კრება დღეს, 22 აპრილს, დანიშნულია 9 საათზე.

---

## სათავად-აზნაურო ბანკის საერთო კრების საყურადღებოდ.

(წერილი კახეთიდამ)

კარგა ხანია, ჩვენს მწერლობაში ლაპარაკია სათავად-აზნაურო სკოლაზედ. ამ საგანზედ მსჯელნი ორს ბანაკად გაიყვნენ: ერთი თხოულობს ამ სკოლას აწინდელის ხასიათი შერჩეს; ხოლო მეორე—სამეურნეო სკოლად გადაცვლას, გადაკეთებას რჩეობს. როცა ასაბუთებენ გათვალისწინებულს აზრს, ორისავე ბანაკის წარმომადგენელნი უცილოდ აღიარებენ, რომ ჩვენ სამეურნეო ცოდნა გვეჭირვება. მეურნეობაში მეტად დაქვეითებულნი ვართ, ხოლო სხვა-და-სხვა საშუალებას ურჩევენ სამეურნეო ცოდნის შესაძენად.

ჩემის აზრით, უმაღლესი სამეურნეო განათლება-კი არა, ანბანურის საგნების ცოდნაც იქამდეა საჭირო ჩვენთვის დღეს, რომ არ შეგვიძლიან უზარალოდ მოვუცადოთ რომელსამე სამეურნეო სკოლის დაარსებას და მისგან გამოღებულს ნაყოფს. არ გეგონოთ, უარს ვყოფდე სამეურნეო სკოლის დაარსებას. არა, რაც მალე იქმნება, ის სჯობია, ერთი-კი არა, ათიც არა კმარა მარტო ტფილისის გუბერნიაში. მაგრამ ჩვენ დღეს იქამდე გაჭირვებულს მდგომარეობაში ვართ ჩაცვივნილნი, ჩვენის უმეცრების გამო სამეურნეო ცოდნაში, რომ ეხლავე დაუყოვნებლივ გვეჭირვება დახმარება, დაუხანებლივ უნდა ვიღონოთ რამე. უამისოდ ან ჩვენს უძრავს ქონებას მალე გამოვეთხოვებით და ან ისე დავაჯანდაკებთ და გავაუდაბნოვებთ, რომ მისი ხელმეორედ განოყიერება ჩვენთვის შეუძლებელ საგნად გარდიქცევა. ორივე შემთხვევაში მიწა-წყალი ხელიდგან გამოგვეცლება.

ყოველ მხრიდგან საჩივარი ისმის: „მოსავალმა იკლო, უწინდებულად აღარც ღვინო მოდის და არც ჭირნახულიო. ამ საჩივრის სიმართლეს განსაკუთრებული დამტკიცება არ უნდა. ყველა აღიარებს მოსავლის სიმცირესა. მოსავლის სიმცირემ უკვე სიმშილობა ჩამოაგდო მთელს შიდა კახეთში. ვგონებ, ეს კმაროდეს დასამტკიცებელ საბუთად. იქნება ვინმე მოინდომოს სხვა და სხვა მოსაზრებით ახსნა სიმშილობისა და ამიტომ წინადვე მოგახსენებთ, რომ მართლა ხალხის ახლანდელი ეკონომიური მდგომარეობა ბევრ-გვარ ვითარებას გვანიშნებს, რომლის წყალობითაც გლეხთ ხელიდამ ეცლებათ თავისი ნაწვავ-ნადაგი, რომ ხშირად თვისგანვე უფასოდ გაცემულს, მამა სისხლად იბრუნებს შემდეგ; მაგრამ აქ ამაზედ არ არის ლაპარაკი, რადგანაც უმთავრესი მიზეზი საერთო სიმშილობისა ეს არ არის. ჩვენ გვინდა ვსთქვათ, რომ დღევანდელი მხვნელ-მთესველი ვერ იბრუნებს იმას, რასაცა ჰხარჯავს, მოსავალი ვერ აყენებს დანახარჯსა, რადგანაც იგი მცირეა, ვიდრე უნდა იყოს, უკეთუ მიწა მცოდნე კაცისაგან იქმნება შემუშავებული. ესევე ითქმის მევენახეთათვისაც.

ავიღოთ დღიურ სახნავ მიწის შემოსავალ-გასავალი. დღიურის მოხნას უნდება ხუთი კაცი, რომელთაგან თვითო ღირს 40—70 კ. დღეში უნდებათ 26—28 პური (სამი ღირს 10 კ.), შვიდი უღელი საქონელი, რომელთაგან თვითეულს უღელს გააქირავებთ დღეში 40—80 კაპ. დათესვას უნდა კოდნახევარი პური, დაფარცხვას უნდა ყევარი საქონელი და ორი კაცი, საგძლად ათი პური. მომკაში უნდა 4 კაცი, როცა მუშა ფასობს 60—120 კაპ., ხარჯად ოცი პური, ორი თუნგი ღვინო და მოტანაც, რომელსაც ორი ურემი დასჭირდება, ღირს სულ ცოტა, ერთი მანეთი. გალეწვაში დაიხარჯება ერთი მანეთი, რომ საქონელი არ ჩავ'გდოთ, რადგანაც საბზევედ ლეწვენ, ე. ი. ბზე აყენებს ამ მხრივ შრომის ფასსა.

სულ უკანასკნელი ფასები რომ ავიღოთ, გამოვა, რომ დღიურის მოხვნა, დაფარცხვა, მომკა, მოტანა, გალეწვა ეღირება 12 მ. 90 კ. თუ უკანასკნელის ათის წლის მოსავალი ავიღეთ, გამოვა, რომ როცა საშვალზედ უკეთესი მოსავალია, დღიური აძლევს რვა კოდსა. აქედამ ჯერ მეოთხედი მიწის პატრონსა, კოდ-ნახევარი ისევ თესლის სამაგიეროდ ავიღოთ, დარჩება $4^1/_2$ კოდი. (კახეთში კოდი არის სამი ფუთი). მე თვითონ აგერ თვრამეტი წელიწადია პურსა ვყიდულობ ყოველ შემოდგომაზე და ჯერ ორ მანეთზედ ზევით კოდი პური არ მიყიდნია: ორ მანეთად ვყიდულობდი მთელს კახეთში საუკეთესო პურს, ესრედ წოდებულს საყდრიონის პურსა. ამ თვრამეტ წელიწად'ში ერთად-ერთი წელიწადია შარშანდელი, როცა კოდი პური შემოდგომაზედვე 2 მ. 40 კაპ.—3 მ. ისყიდებოდა, ხოლო დანარჩენ წლებში მომატებულად კოდი პური 1 მ. 60 კაპ. ორი მანეთი კარგი ფასი იყო. ჩავაგდოთ ორ მანეთად, გამოვა, რომ დღიურის მოსავალი ღირს 9 მან. *).

მიიღეთ მხედველობაში, რომ ხარჯი სულ ნაკლებად არის ნაანგარიშევი, არ არის ჩაგდებული სანოვაგე, რომელიც აუცილებელია, და არც ღვინო. შემოსავალი კი მეტობით ავიღეთ და მაინც ვერა ჰფარავს ხარჯსა. ახლა ვიკითხოთ, როდემდის შეიძლებს მხვნელ-მთესველი დღიურზედ სამი-ოთხის მანეთის ზარალსა? სად არის ის, რამაც უნდა აცხოვროს მიწის პატრონიც და მხვნელ-მთესველიცა? განა 60 და 100 დღიურის მიწის პატრონს და ათისა და ხუთმეტის დღიურის მხვნელ-მთესველს პური უნდა დააკლდეს? აკლდებათ პური და აკლდებათ იმიტომ, რომ ნაკლებია, ვიდრე უნდა იყოს. ესაა, ბატონებო, მთავარი მიზეზი იმ გარემოებისა, რომ გალეწვის შემდეგ მალე აკლდებათ პური ყველას და წელს ხომ შიმშილობაც ჩამოვარდა. ეს მდგომარეობა ფრიად საყურადღებოა.

როგორც მიწის პატრონისთვის, ისე მის მხვნელ-მთესველისათვის შედეგი ერთი და იგივეა და ამიტომაც ორივენი უნდა დაფაცურდნენ, რაც შეიძლება მალე აირიდონ თავიდგან ის მომავალი, რომლის შავი და ბნელი ყბა უკვე გამოჩნდა და რომელიც ყველასთვის დამღუპველია და ზარდამცემი.

ერთად ერთი საშველია სამეურნეო ცოდნის გავრცელება და მით ერთის მხრივ მიწის შემუშავების შემსუბუქება, ხოლო მეორეს მხრივ—მიწიდამ მომეტებულის ღალის მიღება. ვინ მოგვცემს ამ ცოდნას? თუ სასწავლებელს მოუცადეთ, დაგვიანდება. ჩვენის ყოველ-გვარის გაჭირვების ტალ-კვესი სათავად-აზნაური ბანკია. ჯერ იმას უნდა მივმართოთ და შემდეგ შეიძლება სხვა-ნაირადაც მოეწყოს საქმე. ჩვენთვის საჭიროა, მცოდნე კაცმა დღესვე გვამცნოს, როგორ ჲ რა ნაირად შეიძლება უკეთესად მიწის შემუშავება? როგორ შეიძლება უკეთესად მისი მოვლა? სად და როგორს მიწას რა თესლი უფრო მოჰყავს და სხვ.-და-სხვ. როგორ უნდა მოვლა-მოშენება? რა არგებს და რა აწყენს და სხვ. დარწმუნებული ვარ, რომ იყოს კაცი და ზემო კახეთში ორგან, ქიზიყში ორგან, ქართლში ორგან ხუთ-ხუთი ლექცია წარმოითქვას წელიწადში ჲ ამასთან თვითეულს ადგილას გაიმართოს სამაგალითო სადგური, რომლისათვისაც ჩვენი მემამულენი სიხარულით ადგილსაც მისცემენ და, თანახმად რჩევისა, შეიმუშავებენ კიდეც უსასყიდლოდ, რადგანაც შემოსავალი და მიწა ისევ მათივე იქმნება, ძალიან ადვილად შეიძლება გავრცელდეს ხალხში უსაჭიროესი სამეურნეო ცოდნა. რასაკვირველია, საჭიროა მცოდნე ჩვენებურ მეურეობის ვითარებისა.

თუ ბანკი ჯერ-ჯერობით გადასდებდა სამას-ოთხას თუმანს, ადვილად მოსაწყობი იქნებოდა ეს საქმე და ფრიად დიდს ნაყოფსაც გამოიღებდა.

იქნება ჰგონია ვისმეს, რომ ჩვენი ხალხი ვერ შეიგნებს, თუნდა შეიგნოს, არ დაიჯერებს მცოდნე კაცის ნათქვამს და ნაქადაგებს, ძნელად შეელევა მამა-პაპურს ხვნა-თესვასაო? დარწმუნებული ჰბრძანებოდეთ, რომ ძალიან ადვილად შეითვისებს ჩვენი ხალხი ნათქვამსაც ჲ ნანახსაც და ადვილად მიატოვებს თავის ხვნა-თესვას, თუ უკეთესს დაინახავს. ეს მილდიუს ანუ ობის წამლობამ ცხადად დაგვიმტკიცა. თქმა არ უნდა, რომ ჯერ თავად-აზნაურნი და შეგნებულნი გლეხნი მიიღებენ ახალს მოძღვრებას, მერე სხვანიც. საზოგადოდ-კი ამ სახით სამეურნეო ცოდნის გავრცელება ძალიან ადვილია. *) რაკი თავად-აზნაურობა დაიწყებს ამ საქმეს, მერე თვით გლეხობაც მიიღებს მონაწილეობას. დღეს გლეხობას შენახული აქვს ფული ხაზინაში და ვგონებ, მთავრობა სიამოვნებით მისცემს ნებას, ეს ფული სამეურნეო ცოდნის შესაძენად მოიხმაროს გლეხობამ. ამაშიაც დახმარება უნდა გლეხობასა. კარგი იქნება გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა იშუამდგომლოს მთავრობასთან, რომ ეს სასურველი და მეტად საჭირო საქმე იმ ფულით მოეწყოს. თუ სადავად-აზნაურო ბანკმა გადასდო რამე საქმისთვის, გლეხობაც წახალისდება.

ამ სახით ცოდნის გავრცელება ხალხში არა-თუ მარტო ეკონომიურს წარმატებას დაეხმარება, არამედ თვით ხალხში სურვილს გამოიწვევს, რომ გამართოს სამეუნეო—სკოლები.

ვისურვებთ, რომ ნათქვამს დაემსახურებინოს ყურადღება, ვისიც ჯერარს და უკეთესის, უფრო ბეჯითის აწონ-დაწონვით მოწყობილიყოს ეს მეტის-მეტად საჭირო და სასარგებლო საქმე.

ნადიკვრელი.

*) ეს ანგარიში შეეხება მთელს თელავის მაზრას, ნაწილის თიანეთისა და სიღნაღის მაზრებისას, სადაც მოსავლიდგან ნაოთხალს მიწის ღალად იღებენ. რაც შეეხება ქიზიყს, იქ შემოსავალი ორის კოდის გამოურიცხველად უნდა ჩავაგდოთ: შეადგენს შემოსავალი 13 მან. მაგრამ უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ხარჯიც იმატებს, რადგანაც ქიზიყში მუშაც მეტი ღირს და სახნავის მამულების შემუშავებაც, შედარებით, ერთი ათად სიშორის გამო, ძვირად ჯდება.

ავტ.

*) ევროპის ზოგიერთს სახელმწიფოში, მაგალითად, საფრანგეთში, მთავრობას აგრონომები ჰყავს მაზრებში გამწესებული და იმათი მოვალეობა ის არის, რომ სამეურნეო ცოდნა ავრცელონ ხალხში თუ ქადაგებითა და თუ საქმის ვითარების თვალ-და-თვალ დანახვებითა.

ავტ.

---

## წერილი ქუთაისიდამ

წარსულმა წელმა მეტი სიფრთხილე გვასწავლა და, რაკი დავრწმუნდით, რომ ცდასა და წინდახედულობას შეუძლიან ადამიანს განსაცდელი შეუმსუბუქოს, წელს შარშანდელზე უფრო ადრე შევუდექით მზადებას ხოლერის დასახვედრად, თუ ვინიცობაა, ამ საშინელმა სენმა წელსაც გამოინავარდა ჩვენსკენ. როგორც მოგეხსენებათ, შარშან არც ჩვენ ვიყავით მომზადებულნი ხოლერის დასახვედრად და ამიტომ ამ სენმა ივლისის პირველ რიცხვებიდამ მოკიდებული ოქტომბრის დამლევამდე 119 ავადმყოფში 62 კაცი იმსხვერპლა და თხუთმეტი ათასი მანეთი ფული ამოგვაცალა ჯიბიდგან, ფული, რომელიც ქალაქმა საურთიერთო ნდობის ბანკისაგან ისესხა.

როგორც ზემოდა ვსთქვით, წელს ქალაქმა მეტი წინდახედულობა გამოიჩინა და დღეს იმის ზრუნვაშია, რომ ხოლერას შეძლებისა-და გვარად შესაფერად მიეგებოს და მკვიდრთა ჯანმრთელობას ხელი მოუმართოს. ვგონებთ, მეტი არ იქნება მოვიხსენიოთ, ამ აზრის მისაღწევად ქალაქმა რა და რა ღონისძიება იხმარა.

ქუთაისში თუ ბძანებულხართ, გეხსომებათ, რა მდგომარეობაში იყო ჩვენი ქუჩები. 1885 წელს, ერთ დღიურ აღწერილობის დროს, 38 ვერსის ქუჩებიდგან ქვიშითა და კენჭით მოყრილი იყო მხოლოდ 18 ვერსის მანძილი. წარსულის წლის აგვისტოს 6-დგან მოკიდებული შეკეთებულ იქმნა 6 ვერსი ქუჩა, ასე რომ ამ ქუჩებზე ტალახისა და მტვრის ბუქის შიში არ უნდა გვქონდეს. უწმინდურობის გასატანად ქალაქმა შეიძინა და მოაწყო ისეთი ეტლი, რომელიც არავითარს სუნსა და უსუფთაობას არა სტოვებს ქუჩებში. ამ მოწყობილობას ქალაქმა ხუთი ათასი მანათი მოანდომა და სამერმისოდ ეს ეტლი შემოსავალსაც მისცემს. ამ ეტლს ჩვენის ქალაქისათვის დიდი მნიშვნელობა ექმნება, რადგანაც დღემდე ყოველი უსუფთაობა, ან თავისს ადგილს რჩებოდა ხელუხლებელი, ან არა და, თუ გაჰქონდათ, ხშირად რიონში ჰყრიდნენ და ამ სახით მშვენიერს მდინარეს უმოწყალოდ სწამლავდნენ.

გაუქმებულ იქმნა ორი ძველი სასაფლაო და ამათ მაგიერ ქალაქზე ცოტა მოშორებით ორი ახალი იქმნა გამართული. გამართულ იქმნა მუდმივი თავშესაფარი და საბჭოს გადაწყვეტილებისამებრ ამ თავშესაფარს ორი ოთახი უნდა მიემატოს საკუთრივ გადამდებ სენით ავადმყოფთათვის. დანიშნულია ოც-და-ათამდე სასანიტარო მზრუნველი. აგრეთვე წევრს გამგეობისას დავალებული აქვს თვალ-ყური ადევნოს რიონის ნაპირების სიწმინდეს. ამ ღონისძიებასაც დიდი მნიშვნელობა ექნება, იმიტომ რომ რიონი ჩვენმა დაუდევრობამ, ლამის არის, უსუფთაობის არხად აქციოს.

აი ეს არის, რაც ქალაქმა მოიხერხა და გააკეთა დღემდე ხოლერის დასახვედრად. ყოველივე ეს საკმაო იქნება თუ არა, დრო და ჟამი გვიჩვენებს. ხოლო შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ხოლერას შარშანდელზე შედარებით უფრო გულ-დამშვიდებულნი მივეგებებით, თუ ვინიცობაა დაწიოკება მოგვინდომა.

ამას წინად ხმოსანმა დ. ა. ნაზაროვმა საბჭოს თავისი აზრი მოახსენა იმის შესახებ, რომ საჭიროა ქალაქმა საკუთარი ექიმი-სანიტარი იყოლიოსო. ეს აზრი ჯერ-ჯერობით აზრად რჩება და, ვინ იცის, საქმედ როდის იქცევა, თუმცა ყველასთვის აშკარა უნდა იყოს, რომ ექიმი-სანიტარი აუცილებლად საჭიროა. ქალაქის ექიმი მოცლილი არ არის და თუნდ მოცლილიც რომ იყოს, ზოგს შემთხვევაში მაინც ქალაქი იმას ვერ მიმართავს. საკუთარი ექიმი-სანიტარი რომ გვეყოლება, მზრუნველებს გაუადვილდებათ შრომა; ასეც რომ არ იყოს, ზოგს შემთხვევაში მზრუნველებს, თუნდაც თავდადებულებს, საშუალება არ ექმნებათ თავიანთი მოვალეობა პირ-ნათლად შეასრულონ, რადგან ზოგჯერ ქალაქის სანიტარულს მდგომარეობის თვალ-ყურის სადევნელად სპეციალური ცოდნაა საჭირო.

ერთი რამ კიდევ უნდა მოგახსენოთ: დღემდე დარწმუნებულნი არა ვართ—ყასპები კარგს ხორცს გვაჭმევენ თუ არა, ამიტომ რომ ქალაქს ბეითალი არა ჰყავს და ყასპები ალვირაყრილნი არიან და, ვინ იცის, რა საქონელსა ჰხოცავენ. ქალაქს თუ იმოდენა საშუალება არ მოეპოვება, რომ ეს ორი ექიმი მუდამ იყოლიოს, დროებით მაინც დაიქირაოს. მრავალი ახალგაზდა ექიმი მოიპოვება, სამსახურს გარეშე მყოფი; ქალაქის სამსახურს ისინი დიდის სიამოვნე'ით იკისრებენ, თუნდ სულ მცირე სასყიდელიც დაენიშნოთ.

ა. ნა—ლი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ ბოლო დროს რუსეთის ზოგიერთ გაზეთებში ხშირად შეხვდებით გლოვა-გოდებასა: რუსეთი უცხოელებმა ჩაიგდეს ხელშიო. «Самар. Вѣст.»-ში, მაგალითად, მოყვანილია ცნობანი, თუ ვის ხელში არის რუსეთში სხვა-და-სხვა გვარი დამზღვეველი საზოგადოება. აი ზოგიერთი ცნობები:

„მოსკოვის ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოება ხელთ აქვთ: შტეკერს, პრობეს, ბადერს, ლიუკკეს, ბუშეს და სხვა.

„მოსკოვი“: ტორგონსკი, კოვალსკი, შახტი, ჯლანსკოი და სხვა.

„იაკორი“: ძანოზი, დუჩკოვი, რიშე, ვოგაუ, ლანგე, გორსდი.

„ნადეჟდა“: პლესკე, ხისერმანი, შან-

შიევი, ლალპე, ვეიზორდი, კორეში.

„რუსეთის დამზღვევი საზოგადოება“: გერბეტი, ტიურსტონგი, ზომერტი, ემმერიხი, ლაცკი, როსსი და სხვა.

მაგრამ კმარა, დასძენს გაზეთი, თორემ შეიძლება მოელერ, პერლენ და ვერლენის გვარების წაკითხვით ენა მოიტეხოთ.

კარგი და პატიოსანი! მაგრამ აქ საკვირველი უფრო ის არის, რომ ამ გაზეთს ჯერ ვერ შეუგნია ის ჭეშმარიტება, რომ ნაკლებად განათლებულ ქვეყანაზედ განათლებულ ხალხს ძლიერ დიდი გავლენა აქვს და არც საკვირველია, რომ საქმე მცოდნე და მხნე კაცს ჩაუვარდეს ხელში. უცხოელებმა ჩვენი მრეწველობა ხელში ჩაიგდესო! მერე გლოვა-გოდება ჰმართებს ამის გამო რუსეთს, თუ უნდა ეცადოს, ცოდნაც შეიძინოს და საქმეს თითონ მოჰკიდოს ხელიო!

გაზეთი „Рижск. Вѣст.“-იც ძლიერ დიდი პატრიოტი ყოფილა. ეს გაზეთი სჩივის, გოლდინგენში გერმანელებს ძლიერ ბევრი კერძო სკოლა აქვთ გამართულიო, და ამას შესახებ ამბობს:

ვინ არ იცის, რომ ამ სკოლებში რუსეთისთვის მავნებელი მიმართულება სუფევს: ადგილობრივმა მთავრობამ კარგად იცის ესა, მაგრამ ყურს არ იბერტყავს.

მართალს ამბობს გაზეთი „Риж. Вѣст.“-ი, თუ არა, ეს სულ სხვა საქმეა. საყურადღებოა მხოლოდ, რომ, როცა ამ გვარი გაზეთი რუსეთის ინტერესებზედ დაიწყებს ხოლმე წერას, უპირველეს ყოვლისა, ჯერ პოლიციას უნდა დაუძახოს: არიქა, მტერი გამოგვიჩნდაო!

ჩვენის აზრით, ისა სჯობს პატრიოტი თავის ქვეყნის განვითარებაზე ზრუნავდეს, ვიდრე იმასა სცილობდეს, სხვები დავამხოთ და გავანადგუროთო.

## წვრილი ამბავი

ამას წინად პარიჟში ბროუნ-სეკარმა წაიკითხა ლექცია: „ორგანიზმის ცვლილება სიცოცხლის დროს და სიკვდილის შემდეგ“. ბროუნ-სეკარი 80 წლის მოხუცია. ამ ოთხის წლის წინად თურმე დასუსტებული და დაუძლურებული ყოფილა. მაგრამ ეხლა 65 წლისასა ჰგავს თურმე. ბროუნ-სეკარმა სთქვა: კარგად გახსოვსთ ჩემი მოუძლურება და სისუსტე, ეხლა-კი, როგორცა ხედავთ, სულ გაახლებული ვარ სულითაც და ხორცითაცაო. მერე პატივცემულმა ლექტორმა განმარტა მის მიერვე აღმოჩენილ წამლის მნიშვნელობა „ჩვენი სხეული, — სთქვა ბროუნ-სეკარმა — მრავალის ძარღვებისა და სახსრებიდგან შესდგება, და ამიტომ შესაძლებელია მთელი სხეული განვიახლოთო. თუ რომელსამე ძარღვისა ან სახსრის განახლებით სხეული ახლდება, მაშ შესაძლებელია, სიკვდილის შემდეგ, ადამიანის გაცოცხლებაცაო.

— გაზეთი „Times“-ი სწერს: ამ დღეებში შეერთებულ შტატებში გარდაიცვალა ერთი საოცარი კაცი — ისაკ კრაუზე. ეს კაცი იმითია შესანიშნავი, რომ ოცდა-თექვსმეტის წლისა გახდა და სრულიად არ გაიზარდა. არც ჭკუით სმენა, არც ლაპარაკი, არც მხედველობა არა ჰქონდა თურმე, მხოლოდ თავი-კი ჰქონდა დიდიო.

## დეპეშა

20 აპრილი

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ბანკი, კანტორები და განყოფილებანი ახალ განკარგულებამდე მეურნეთათვის ვექსილებით გასესხებულ ფულზედ $4^1/_2{}^0/_0$ გამოართმევენ.

**რომი.** მაისის პირველმა დღემ რომსა და მთელ იტალიაში მშვიდობიანად ჩაიარა.

გერმანიის იმპერატორი და იმპერატრიცა $6^1/_2$ საათზედ ბერლინს გაემგზავრნენ.

**ბუქარესტი.** აქ მობრძანდა დედოფალი ნატალია და აქედგან გაემგზავრა ვიდრს, ლასკორი კატარჯის მეუღლესთან.

**მადრიდი.** გუშინ გელარტის მახლობლად მადნებში გაფიცულ მუშათა და ჟანდარმებ შორის შებრძოლება მოხდა; ჟანდარმებმა თოფები დასცალეს და ერთი მუშა დასჭრეს. ისპანიის სხვა ადგილებში დიდი უწესოება არა მომხდარა-რა.

**ამსტერდამი.** გუშინ გრონინგში სოციალისტთა კრების დაშლის დროს ჟანდარმები დაეცნენ სოციალისტებს და რამდენიმე კაცი დასჭრეს.

**ნიუ-იორკი.** გუშინ ჩიკაგოში გამოფენა დაიწყო; ამ ამბავს დაესწრო 300,000 კაცი. პრეზიდენტმა კლეველენდმა თითი მიადო ელექტრონის აპარატის ერთს დუგმას და იმ წამსვე დაიწყეს მოქმედება გამოფენის ყველა მაშინებმა და გაიშალა ბაირაღები.

**ბერნი.** დღეს დილით იმპერატორი და იმპერატრიცა ლიუცერნს მობრძანდნენ; გაიმართა საუზმე, რომელსაც დაესწრნენ: იმპერატორი და იმპერატრიცა, ამალა, შვეიცარიის პრეზიდენტი და სხვ.. რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა.

დღეს, შუადღის შემდეგ, გერმანიის იმპერატორი და იმპერატრიცა კარლსრუეს გაემგზავრნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 16 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | $7_{,64}$ | $7_{,67}$ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $152^1/_2$ | $153^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | $1_{,26}$ | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $245^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 221 |
| 4% მესამე სესხისა. . | $99^3/_8$ | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $195^1/_2$ |
| გირაგნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . . | — ,, | — ,, | 102 |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | $100^1/_4$ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | 102 |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | $100^1/_4$ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | $99^3/_4$ |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო ატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დილით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დილით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დილით.

სამშაბათობით: დილით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დილით.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც

## განცხადებანი

ცოტა-ღა დარჩა და ისყიდება წერა-კითხვ. გამავრ. საზოგ. და ამხანაგობის მაღაზიაში

საქართველოს კალენდარი

1893 წლისათვის

ფასი 45 კ. (ყდით 55 კ.)

კალენდარი შეიცავს 560-მდე წმინდათ დასტამბულ გვერდს და დასურათებულია გრიკელის ნახატებით.

უნის წიგნი 1893 წლისთვის

„სულ გაიყიდა“

ქართული

მიწერ-მოწერის კრებული

ფასი 40 კ. (ყდით 50 კ.)

ისყიდება იმავე წიგნის მაღაზიაში.

## კბილის ექიმი

## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—45)

## საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ვერიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—24) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

## მ ე ქ ა რ ხ ნ ე ე ბ ი

ს ა ვ ა ჭ რ ო  ს ა ხ ლ ი

## ბენდერ-სტეფანოვი

**ტფილისის განყოფილება** სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.

**ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:**

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

**ქარხნის ფასად, იაფად.** (35—23)




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

## ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეძვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეძვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც $20^0/_0$-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—8) ალ. თუთაევი

ა ხ ლ ა დ  გ ა მ ა რ თ უ ლ ი

## პანსიონი და სასწავლებელი

ა. გ. მ ი რ ზ ა შ ვ ი ლ ი ს ა

იმყოფება გრიბოედოვისა და კრუზენშტეინის ქუჩების კუთხეში, ბადლოევის სახლში. შეგირდები მიიღებიან როგორც პანსიონერებად, ისე გარედამ მოსიარულეებად. სწავლა დაიწყო 25 სექტემბრიდამ.

(50—50)

Доз. ценз. Тифлисъ, 21-го Апрѣля 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.